ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01200161093**
თარიღი: **16/01/2020**
პინი: **6291**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 20 დეკემბრის თქვენი N17-01193542289-16 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბეშენოვას და ლიპტოვის ქუჩებზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.21.001.520) არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ, რომ 2016 წელს, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით კომპანია SYSTRA-მ ჩაატარა კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა თბილისის 10 პოტენციური საბაგირო დერეფანი. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გადის ერთ-ერთი საბაგირო დერეფანი, კერძოდ კი, „სადგურის მოედანი-ლოტკინი-თბილისის ზღვის“ მარშრუტი.

ვინაიდან ამ ეტაპზე დაგეგმილი საბაგიროს პროექტით არ არის დადგენილი დეტალური შეზღუდვები, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ მომავალში დერეფნის მოწყობის ხელისშემშლელი ტექნიკური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01200174175**
თარიღი: **17/01/2020**
პინი: **4221**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: პაატა ჭავჭანიძე
პირადი ნომერი: 01024018748
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძეს ქუჩა, N 72ბ, ბინა 113

2020 წლის 9 იანვრის N19/012000928-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ბეშენოვას ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.21.001.520) სავაჭრო ობიექტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ²“ ქვეპუნქტის თანახმად III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

2. ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციასთან. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს CD დისკზე ჩაწერილი .dwg ფორმატის სქემის ფაილი და A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების არქიტექტურის სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა სვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე, რის შემდგომაც განსახილველად გადაეგზავნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს. ასევე, უნდა აიტვირთოს კვლევის ერთიან დოკუმენტში წარმოდგენილი რუკების, სქემებისა და გაანგარიშებების სამუშაო მასალები:

· რუკა (.shp) – (ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ArcGIS-ის ArcMap დოკუმენტის სახით)

· სქემა (.dwg/.shp)

· ცხრილი და/ან დიაგრამა (.xlsx)

კვლევის კომპონენტები და არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 3 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა**		
1.1	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან გეშენოვას ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მისასვლელი გზა, საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე *მისასვლელი მანძილი,* საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა *საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია* (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): *ტროტუარის არსებობა, გარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.* ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	შენობის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების		


დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	მიხედვით.		
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში ვიზიტორთა და თანამშრომელთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3	რეკომენდაციები		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
4	გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა დ ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია დ შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218

დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის პრ
არეალი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030151422513820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/405

15 / იანვარი / 2020 წ.

მოქალაქე პაატა ჭავჭავაძეს
(თბილისი იოსებიძის 72 ბ, ბინა 113. ტ: 557 719 755)

ბატონო პაატა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 30 დეკემბრის № 179564 განცხადება, რომელიც შეეხება სანიტარიული დაცვის ზონის არეალში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე თანხმობის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების მიზნით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითა“და “გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტრო განიხილავს დადგენილი წესით წარმოდგენილ სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას დაქვემდებარებულ პროექტებს და გასცემს შესაბამის სკოპინგის დასკვნებსა და სკრინინგის გადაწყვეტილებებს.

გარდა აღნიშნულისა, „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს № 297/ნ ბრძანების № 5 დანართით („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები“) განსაზღვრულია წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონების (სდზ) მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები, რომლითაც დადგენილია სანიტარიული დაცვის პირველ, მეორე და მესამე ზონებში შემზღუდავი (ან ამკრძალავი) და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის მიუხედავად საკუთრების ფორმისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი დაქვემდებარებისა. ამასთან, ამ მოთხოვნების შესრულების კონტროლი და მითუმეტეს, მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმება, ან რაიმე ტიპის ნებართვის გაცემა არ წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ჭავჭავაძე

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი, გვარი: [illegible]
საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომელი
თარიღი "17" 01 2020წ.
ხელმოწერა [illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200301101**
თარიღი: **30/01/2020**
პინი: **6698**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა, თქვენი 2020 წლის 22 იანვრის #60-0120022165 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ტოპო. გეგმა, განმარტებითი ბარათი), რომლითაც მოქალაქე პაატა ჭავჭანიძის განაცხადის (AR1719226) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ჯინო პარკის" (საიდენტიფიკაციო: 404906722) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N9, ლიპტოვის ქუჩა N8, ბეშენოვას ქუჩა N30; ს.კ.: 01.12.21.001.520)(რზ-3; გდზ-3) IV კლასის სავაჭრო ობიექტის განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის დამტკიცების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, **დაინტერესებულმა პირმა** ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტის **თანახმად უნდა წარმოადგინოს** გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი სრულყოფილი საინფორმაციო დაფის ესკიზი, რომელზეც განმცხადებელმა უნდა დაიტანოს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი);
- გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი (მშენებლობის ნებართვის აღებამდე, გრაფის შევსება არ არის სავალდებულო; თარიღად უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი);
- დასარგავი მცენარეების სახეობა (მათ შორის გარშემოწერილობა, ხნოვანება, სიმაღლე, რაოდენობა);
- **გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;**
- გაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი (თუ გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობას არ უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, განაცხადს უნდა დაერთოს, მცენარეების მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე, პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა ან/და გაფორმებული ხელშეკრულება, გასაშენებელი (გაშენებული) მცენარეების არანაკლებ 3 წლიანი მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობის ვალდებულების შესრულების თაობაზე);
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი);
- საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით;

დასარგავი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ **20 სანტიმეტრი.**

გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარის სახეობები უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან **(მარადმწვანე კვიპაროსის, შავი ფიჭვის, ელდარის ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა).**

წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის თანახმად, დაზუსტდა ინფორმაცია მასზედ, რომ განმცხადებელი საპროექტო შენობის განთავსების მიზნით გეგმავს გარკვეული რაოდენობის მცენარეების მოჭრას/გადარგვას.

იმისათვის, რომ სამსახურმა დააფიქსიროს პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე დადგენილების 27^4-ე მუხლით დადგენილის წესის შესაბამისად, განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს **მხოლოდ სამშენებლო მოედანზე** არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა.

მოგახსენებთ, რომ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს:

- მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღს, ადგილსა (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველს;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობასა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობას;
- კვლევის ჩატარების მეთოდს;
- ინფორმაციას მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის დიამეტრისა (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;
- **მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველ ფოტომასალას;**
- დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევის ამსახველ დოკუმენტს და დასაბუთებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული მწვანე ნარგავი გამოჯანმრთელებას;
- ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი სპეციალისტის (არქიტექტორი) მიერ ხელმოწერილი ტოპო. გეგმა **(ფუნქციური ზონის მითითებით)** საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მასზე მწვანე ნარგავების დატანით, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მცენარის ნუმერაციის შესაბამისად. ასევე, საპროექტო შენობასა და ხეს შორის არსებული მანძილის აღნიშვნით.

დამატებით მოგახსენებთ, რომ დადგენილების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის-1,5 მეტრს.

ამდენად, მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, სამსახური დააფიქსირებს მწვანე ნარგავებთან, ასევე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით პოზიციას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 82 09

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 2 20 00219797

28/01/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 22 იანვრის N60-0120022161 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქუჩა N9/ლიპტოვის ქუჩა N8-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.21.001.520) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო ცენტრი) არქიტექტურული პროექტის, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. სავაჭრო ცენტრის „ლ-1“ ღერძებში მოცემული რესტორნის ფართობიდან და ზოგადად 0.00 ნიშნულზე სავაჭრო ფართობების დერეფნებიდან კარების გაღება გათვალისწინდეს ევაკუაციის გასვლის მიმართულებით.
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 1008.1.2

2. სავაჭრო ცენტრის -5.30 ნიშნულზე „ო-პ-1ა“ ღერძებში მოცემული კიბის უჯრედიდან გასასვლელი კარების გაღება გათვალისწინდეს ევაკუაციის გასვლის მომართულებით.
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 1008.1.2

3. სავაჭრო ცენტრის 0.00 ნიშნულზე „პ-ო-23“ ღერძებში მოცემულ კიბის უჯრედში შესასვლელი კარების გაღება გათვალისწინდეს ევაკუაციის გასვლის მიმართულებით.
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 1008.1.2

4. ვინაიდან, სამშენებლო დოკუმენტაციაში გარკვეული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავების გზით, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრულყოფილი პროექტები და დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს;

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო სრულყოფილი კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი

განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

